კონკურსის მონაწილე: ილია აბურჯანია
ასაკი 16 წ.
სკოლა: სსიპ ქ. ფოთის N15 საჯარო სკოლა
კლასი: მე-10

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე

გამარჯობა ლუკას, მე იმ თაობის წარმომადგენელი ვარ ვინც ცხოვრობს დამოუკიდებელ საქართველოში დაბადების ბედნიერებით და ეძებს პასუხს რას ნიშნავს თავისუფლება? დავფიქრებულვარ, როგორია დამოუკიდებლობა ჩვენი თაობისთვის. ჩვენ არ გვახსოვს 90-იანების სიბნელე, ტკივილი, ომი, შიში… ეს ყველაფერი მხოლოდ მშობლების ნაამბობიდან ვიცით. ჩვენთვის საქართველო უკვე თავისუფალი ქვეყანაა, მაგრამ ხშირად ვფიქრობ ნამდვილად მოვიპოვეთ თუ არა თავისუფლება? ჩვენ არ გვსურს ვიყოთ მხოლოდ "დამოუკიდებელ ქვეყანაში დაბადებულნი". ჩვენ გვინდა ვიყოთ ის თაობა, ვინც ამ დამოუკიდებლობას სიცოცხლეს შთაბერავს — ცოდნით, შრომით, პატიოსნებით და ერთმანეთის სიყვარულით. დამოუკიდებლობა მხოლოდ ის კი არ არის, რომ სხვები არ გვეუბნებიან, როგორ ვიცხოვროთ არამედ ის, რომ ჩვენ ვიცით, რა გვინდა და შეგვიძლია კიდეც ამის მიღწევა. თავისუფლება ნიშნავს შესაძლებლობას, დააფიქსირო შენი აზრი, დაიცვა სხვისი განსხვავებული მოსაზრება, იმეცადინო, ისწავლო, შექმნა და არ შეგეშინდეს. მაგრამ ეს თავისუფლება ბრძოლას მოითხოვს შიგნით, საკუთარ თავთან და გარეთ, რეალურ გამოწვევებთან. დამოუკიდებლობა ჩვენთვის არის შანსი და ამ შანსს ფასი აქვს. უნდა გავუფრთხილდეთ, ვიმუშაოთ,ვასწავლოთ მომავალ თაობებს, რომ თავისუფლება არც მარადიულია და არც მარტივი. მე მჯერა, რომ ჩვენ ამას შევძლებთ. ჩვენ ვიქნებით თაობა, ვინც დამოუკიდებლობას თავისუფლებად აქცევს. ვინც დაამტკიცებს, რომ საქართველო არა მხოლოდ გადარჩა , არამედ გაიფურჩქნა.

შენი მეგობარი ილია

From Independence to Freedom

Hello, Lukas, I am part of the generation that was born in independent Georgia. We are lucky to live in a free country, but we are still searching for the answer what does freedom really mean? Sometimes I think about what independence means for our generation. We don't remember the darkness, pain, war, and fear of the 1990s. We know about them only from the stories our parents tell us. For us, Georgia is already a free country. But I often ask myself did we really achieve freedom? We don't want to be just "the generation born in an independent country." We want to be the generation that gives life to independence with knowledge, hard work, honesty, and love for each other. Independence is not only about others not telling us how to live it is also about knowing what we want, and being able to reach it. Freedom means being able to speak your mind, respect others' opinions, study, create and not be afraid. But freedom also needs a fight inside ourselves, and outside, in the real world with its problems. For us, independence is a chance and that chance has a price. We must protect it, work for it, and teach the next generation that freedom is not forever and it's not easy. I believe we can do it. We can be the generation that turns independence into real freedom the generation that shows the world that Georgia didn't just survive it bloomed.

Your friend, Ilia

Ввод